

გაყინული ცივი ომის ბაღვა და მისი ფრონტის ხაზი საქართველოზე ბაღის

გაზეთი “რეზონანსი” – 3 სექტემბერი, № 240, 2008

როგორ მოიტყულა თავი დასავლეთმა

ჯერ გორბახოვის და შემდეგ ელცინის ეპოქაში შეიქმნა იმის შთაბეჭდილება, რომ ცივი ომი დასრულდა, ხოლო ახალი რუსეთი დაადგა ცივილიზებულ სამყაროსთან თანმშრომლობის, დემოკრატიული ცვლილებებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შეუქცევად გზას. 2008 წლის აგვისტოში საქართველოს მიმართ განხორციელებულმა რუსულმა აგრესიამ კი ცხადყო, რომ ცივი ომის დასასრული არა იმდენად რეალობა, რამდენადაც დასავლეთის მიერ რეალობად ჩათვლილი დასავლეთისავე სურვილი, ილუზია უფრო იყო. გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარსა და 90-ანი წლების პირველ ნახევარში კვდომადი სსრკ და მისი სამართალმემკვიდრე – ახლადშექმნილი რუსული სახელმწიფო პოლიტიკურად და ეკონომიკურად იმდენად იყო დაუსუსტებული, რომ დასავლეთისაგან ეკონომიკური დახმარების მიღების სურვილმა აიძულა მოსკოვი დასავლეთისაკენ, დასავლური ფასეულობებისაკენ შეტრიალებულიყო. იმავდროულად რუსეთში ძლიერდებოდა ნოსტალგია დაკარგულ იმპერიაზე, ღვივდებოდა რევანშიზმით შეპყრობილი დამარცხებული ერის კომპლექსი, რომლის მსგავსიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში ჩამოყალიბდა და რამაც საბოლოო ჯამში ფაშისტები მოიყვანა ხელისუფლებაში.

იმის დასტურად, რომ დასავლეთი ხშირად შეგნებით ხუჭავდა თვალს რუსეთის არადემოკრატიულ ქმედებებზე ისიც გამოდგება, თუ როგორ დაარწმუნა პრეზიდენტმა პუტინმა თავისი დასავლელი პარტნიორები იმაში, რომ ჩეჩენი ხალხის წინააღმდეგ კრემლის მიერ მოწყობილი გენოციდი, უწინარეს ყოვლისა, თურმე ანტიტერორისტული ომი იყო. თანაც კრემლმა ეს მოახერხა იმ პირობებში, როცა ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციები მას ძალზედ მკაცრად აკრიტიკებდნენ ჩეჩენი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში.

გახდა კი რუსეთი ბოლომდე ანგარიშგასაწვეი ძალა?

რუსულ საზოგადოებაში არსებული ხსენებული რევანშიზმის ფონზე ქვეყნის შიგნით კრემლის პოლიტიკური ავტორიტეტი არნახულად გაზარდა ჩეჩნების წინააღმდეგ ჩატარებულმა უსასტიკესმა სამხედრო ოპერაციებმა. ამ პერიოდს ემთხვევა ნავთობის მსოფლიო ბაზარზე ფასების განუხრელი ზრდა, რამაც რუსეთის ეკონომიკური გაძლიერება განაპირობა. ხოლო ის, რომ ევროპა მოხმარებული გაზის 40 პროცენტს რუსეთიდან შეიტანს, ამან მოსკოვს ხელთ ქმედითი იარაღი მისცა, რათა დასავლეთი იძულებული გამხდარიყო მისთვის ანგარიში გაეწია. და მას გაუწიეს კიდევ ანგარიში, როცა “დიდი შვიდეულის” ფრომატი სპეციალურად რუსეთისათვის “დიდი რვიანის” ფრომატით შეიცვალა, რამაც თავის მხრივ კრემლი კიდევ უფრო მეტად დააჯერა საკუთარ შესაძლებლობებში, რომ რუსეთი მსოფლიოში უკვე ანგარიშგასაწვეი ძალა გახდა.

რუსეთი მართლაც გახდა ანგარიშგასაწვეი ძალა, მაგრამ არც იმდენად, რომ მისთვის დაეჯერებინათ და, მაგალითად, აშშ-ს ერაყში ანტიტერორისტული ოპერაცია არ დაეწყო, ან კოსოვოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარება შეფერხებულიყო. ამან კრემლს შეუქმნა იმის სურვილი, რომ მსოფლიოსათვის უფრო მკაფიოდ ეჩვენებინა თავისი სიძლიერე: თუ აშშ სამხედრო ოპერაციებს ატარებს მისგან დიდად დაშორებულ ერაყში, მაშინ მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერის ამბიციის მქონე რუსეთს რატომ არ შეუძლია მსგავსი რამ ჩაატაროს თავის მეზობელ სახელმწიფოში საქართველოში, ხოლო თუ დასაცლეთის არაერთი სახელმწიფო აღიარებს კოსოვოს დამოუკიდებლობას, მაშ რუსეთს რატომ არ შეუძლია აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, და ამით მთელ მსოფლიოს დაანახოს, რომ ის მართლა გახდა ანგარიშგასაწვეი ძალა.

რატომ საქართველო?

აქ იბადება კითხვა, თუ რატომ მაინცა და მაინც საქართველო გახდა რუსეთის სამიზნე? პასუხის მოძებნა კი სულაც არ არის რთული: ჯერ-ერთი არა მარტო საქართველო, არამედ მისი ორი სეპარატისტული რეგიონიც აფხაზეთიცა და სამხრეთ ოსეთიც ასევე უშუალოდ ესაზღვრება რუსეთს, მეორე, ამ ორივე რეგიონს სათავეში უდგანან კრემლის მარიონეტული მთავრობები, ხოლო ამ რეგიონების სეპარატიზმი თავიდანვე ინსპირირებული და პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც განუხრელად

მხარდაჭერლ იყო კრემლის მიერ, რაც ამ უკანასკნელს უქმნიდა მნიშვნელოვან დასაყრდენს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო აგრესიაში, მესამე, ვარდების რევოლუცია და ამ გზით ხელისუფლებაში მოსული მიხეილ სააკაშვილის მთავრობა კრემლის მიერ ვაშინგტონის პროექტად მიიჩნევა, ხოლო საქართველოს სწრაფვა ნატოსაკენ აღქმული იქნა როგორც რუსეთის ეროვნული ღირსების შელახვა.

ის, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში თბილისის პრობლემა უწინარეს ყოვლის მოსკოვი იყო ამის ხმაამდლა აღიარება დასავლეთს არ აწყობდა, და საქართველოს მთავრობას კრემლთან საერთო ენის გამონახვას მაშინაც სთხოვდა, როცა ამ უკანასკნელმა სეპარატისტულ რეგიონებში რუსული პასპორტების დარიგება დაიწყო, ან როცა რუსეთში მოეწყო ეთნიკური ქართველების მასობრივი დევნა. მხოლოდ მას შემდეგ შემდეგ, რაც რუსეთმა დაიწყო სამხედრო აგრესია და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია უკვე მთელი მსოფილოსათვის ნათელი გახდა, რომ აშკარად გამოიკვეთა არა უბრალოდ რუსულ-ქართული, არამედ რუსულ-დასავლურ ფასეულობათა კონფლიქტი.

რას უპირებს კრემლი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს?

საქართველოსთან სამხედრო წარმატების თავბრუსდამხვევ ეიფორიაში კრემლმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიარა და არც ის ჩააგდო არაფრად, რომ საქართველოს ამ სეპარატისტული რეგიონების მოსახლეობის უდიდესი ნაწილი რუსეთის მოაქლაქეებია. სხვა სიტყვებით რუსეთი აღიარებს ისეთ ორ ახალ სახელმწიფოს, რომლის მაცხოვრებლები შესაბამისად არა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, არამედ კრემლისვე ხელშეწყობით რუსეთის მოქალაქეები არიან. მართალია, კრემლს ძალზედ ხშირად მოჰყავს პარალელები კოსოვოსთან, თუმცა ხაზგასასმელია, რომ მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარების წინ იქ მაცხოვრებლებისათვის არც აშშ-სა და არც რომელიმე სხვა სახელმწიფოს არ შეუთავაზებია თავისი ქვეყნის მოქალაქეობა.

ცივილიზებული სამყარო რუსეთის ამ ნაბიჯებს რომ არ მოიწონებდა, და რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას არ აღიარებდა თავიდანვე რთული მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო კრემლისათვის. თუ რამოდენიმე აშკარად ანტიდასავლური სახელმწიფო რუსეთის ამ ნაბიჯს მხარს დაუჭერს, ეს მსოფლიო დონეზე ამინდს ნამდვილად ვერ შეცვლის. მაშინ იბადება კითხვა იმის

შესახებ, თუ რაზეა გათვლილი მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების ნაბიჯი.

რადაც დროის გავლის შემდეგ კრემლი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მარიონეტულ მთავრობებს ჩაატარებინებს რეფერენდუმებს რუსეთთან შეერთების შესახებ, რომელთა შედეგების განჭვრეტა სულაც არ უნდა იყოს რთული. ხოლო ყოველივე ამას კი ასეთი გამართლება მოძებნება: თუ გაეორო, ევროკავშირი, მსოფლიოს სახელმწიფოთა დიდი ნაწილი არ აღიარებენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, მაშინ იქ მაცხოვრებლებს სხვა გზა აღარ დარჩებათ, რომ მოითხოვონ რუსეთთან შეერთება, მით უფრო ეს ადამიანები უკვე ისედაც არიან რუსეთის მოქალაქეები. თანაც რუსეთი არა მარტო საერთაშორისო სამართლის სუბიექტია, არამედ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრიცაა, და ყოველივე ამით უფრო ქმედითად შეძლებს რუსეთის უკვე ახალ ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ინტერესების დაცვას. ამით კრემლი თავისი მზაკვრული მიზნების ხორცშესხმას და რუსეთის საზღვრების გაფართოებას კავკასიის ქედის სამხრეთში “წარმატებით გადააბრალებს” დასავლეთს, რომელმაც არ მოისურვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობა და ამით აიძულა რუსეთი თავის შემადგენლობაში შეეყვანა საქართველოს ორი ისტორიული რეგიონი.

გაყინული ცივი ომი გალღვა

საქართველოს მიმართ რუსეთის სამხედრო აგრესიამ, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციამ, პრეზიდენტების სარკოზისა და მედვედევის ხელმოწერილი შეთანხმების რუსეთის მხრიდან უხეშმა დარღვევამ, “დიდი შვიდეულის” სახელმწიფოებთან კონსულტაციები გარეშე მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცალმხრივად ცნობამ, ბუნებრივად ყველას მთელს მსოფლიოში ცივი ომის ეპოქა გაახსენა.

იმის გათვალისწინებით, რომ ცივი ომის მხარეებს დღესაც იგივე სახელმწიფოები წარმოადგენენ, რაც გასულ საუკუნეში იყო, ხოლო კონფლიქტის მიზეზები, მამოძრავებელი მოტივები და კრემლის მოქმედების სტილი ასევე არ შეცვლილა (ამის დასტურათ ისიც გამოდგება, რომ 2008 წელს კრემლმა საქართველოში პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა იმავე მეთოდებით დააპირა როგორც ეს 1956 წელს უნგრეთში, ხოლო 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში განახორციელა), შეიძლება დავასკვნათ, რომ ადგილი აქვს

არა ახალ ცივ ომს არამედ ძველი ცივი ომის განახლებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადგილი აქვს იმ ცივი ომის განახლებას, რომელიც დასავლეთში შეცდომით ჩაითვადა, რომ დასრულებული იყო, ხოლო როგორც აღმოჩნდა ის მხოლოდ და მხოლოდ დროებით იყო გაყინული. და ამ გაღლობილი გაყინული ცივი ომის ფრონტის ხაზი კი დღეს კავკასიაში, კერძოდ, საქართველოზე გადის!

ლადო პაპავა